АО „ТЕЛАСИ“ სს „თელასი“

ნომერი: 0726/038

თარიღი: 26/07/2016

შპს „ენ კაპიტალის" დირექტორ

ბ-ნ დ. ლომიძეს

მის. ვაჟა ფშაველას 1 შესახ. #3 ბ. 228

თქვენი 20.07.2016 წლის #0720/288 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ მითითებულ მისამართზე მიწის ნაკვეთის (ს. კ. 01.14.16.007.057) მიმდებარედ გადის სს „თელასის" კუთვნილი 6-10კვ-ის საკაბელო ელ. გადამცემი ხაზი. საქართველოს მთავრობის *2013* წლის *24* დეკემბერის *#366* დადგენილება. „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ (მუხლი 3, პუნქტი ბ)

ბ) საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზებისათვის:

ბ.ა) მიწისქვეშა საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზის გასწვრივ მიწის ნაკვეთი, შემოსაზღვრული ვერტიკალური სიბრტყეებით, რომლებიც ხაზის ორივე მხარეს განაპირა კაბელებიდან დაშორებულია შემდეგი მანძილით:

ბ.ა.ა) 1 კვ-ის ზევით - 1 მეტრი ორივე მხრიდან;

ბ.ა.ბ) 1 კვ-მდე - 1 მეტრი ორივე მხრიდან; თუ საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზი გადის დასახლებათა ტროტუარების ქვეშ, მაშინ - 0,6 მეტრი შენობა-ნაგებობის მხარეს და 1 მეტრი ქუჩის სავალი ნაწილის მხარეს;

სს „თელასი" არ არის წინააღმდეგი აწარმოოთ მშენებლობა, თუ დაცული იქნება ზემოთ აღნიშნული ნორმები.

სს „თელასის“ გენერალური

დირექტორი ს.კობცევი

შემს.შრომის დაცვისა და სახ. უსაფრთხოების

განყოფილების უფროსი მ. ჩიღუნაძე

საქართველო, თბილისი, 0119 ვანის ქ.3
Грузия, Тбилиси 0119, ул. Ванская 3
Тел.: +995 (32) 277 99 99; Факс: +995 (32) 277 99 81
www.telasi.ge

gwp
მეტი ვიდრე უბრალოდ წყალი
MORE THAN JUST WATER

№ 0616-43586 D 19 08 2016

შ.პ.ს „ენ კაპიტალის“ წარმომადგენელს
დემურ გოგოლაშვილს
მის. ვაჟა-ფშაველას პირველი შესახვევი N3ბ
ტელ. 593 61 29 61

შპს ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ განიხილა თქვენი განცხადება 3/16 29.07.16წ. დარეგისტრირებული IN16-39781, დათარიღებული 29.07.16 წ. სოფელი ლისის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე და (საკ. კოდი №01.14.16.007.057) მიმდებარედ კომპანიის ბალანსზე რიცხული, მიწისქვეშა კომუნიკაციების მდებარეობის შესახებ.

თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთზე სავარაუდოდ გაედინება კომპანიის ბალანსზე რიცხული წყალსადენის დ=300 მმ წყალსადენის ქსელი, რომლის ზუსტი ადგილმდებარეობა კომპანიისთვის უცნობია. ქსელის ზუსტი მდებარეობის დასადგენად საჭიროა ადგილზე შურფირება, რაც შესაძლებელია განხორციელდეს თქვენი მოთხოვნის შემთხვევაში, თქვენივე ხარჯებით, თუმცა ,,კომპანიის“ ზედამხედველობით.

გასათვალისწინებელია, რომ წყალსადენ-კანალიზაციის ქსელებთან მიმართებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციები, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისთვის.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს N 297/ნ ბრძანებით დამტკიცებული „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების“ დანართი 5-ის („წყალმომარაგების წყაროებისა და სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყალსადენების სანიტარიული დაცვის ზონები. სანიტარიული წესები და ნორმები. სანწდან 2.1.4. 000 – 00“) და სამშენებლო ნორმების და წესების (სანდაწ 2.04.02-84) თანახმად, წყალსადენის მილთან მიმართებაში დადგენილია სანიტარული ზოლი, რომლის არეალი აითვლება წყალსადენის მილიდან ორივე მხარეს: თუ მშრალი გრუნტია - არანაკლებ 10 მ-ისა, როცა წყალსადენის დიამეტრი 1000 მმ-მდეა და არანაკლებ - 20 მ-ისა, როცა წყალსადენის დიამეტრი 1000 მმ-ზე მეტია, ხოლო გრუნტის წყლების არსებობისას, არანაკლებ 50 მ-ისა, მილის დიამეტრის მიუხედავად. ზემოაღნიშნული ნორმების საფუძველზე, სანიტარული დაცვის ზოლებში იკრძალება ნაგავსაყრელების, სასაფლაოების, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მოწყობა და ფუნქციონირება.

რაც შეეხება სამშენებლო ნორმებით და წესებით (სანდაწ II-89-80; სანდაწ 2.07.01-89) დადგენილ რეგულაციებს, მანძილი (დაშორება) ჰორიზონტალურად წყალსადენ-კანალიზაციის მიწისქვეშა ქსელებიდან ნებისმიერ შენობა-ნაგებობებამდე უნდა იყოს: წყალსადენისა და სადაწნეო კანალიზაციის შემთხვევაში არანაკლებ - 5 მეტრი, ხოლო თვითდინებითი კანალიზაციისა და წყალჩამშვებების შემთხვევაში არანაკლებ- 3 მეტრი. შესაბამისად, მოცემულ არეალში (წყალსადენისა და სადაწნეო კანალიზაციის შემთხვევაში - 5 მეტრამდე მანძილზე, ხოლო თვითდინებითი კანალიზაციისა და წყალჩამშვებების შემთხვევაში - 3 მეტრამდე მანძილზე) ნებისმიერი მშენებლობა დაუშვებელია.

თუ ფიზიკური/იურიდიული პირების მიერ არ იქნება დაცული სამშენებლო ნორმებისა და წესების ზემოაღნიშნული მოთხოვნები, მიწისქვეშა ქსელებზე მომხდარი ავარიის შემთხვევაში, მიყენებულ ზიანზე „კომპანია“ იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას.

ამასთანავე, „კომპანია“ გაცნობებთ, რომ თქვენ განცხადებაში მითითებულ მიწის ნაკვეთზე შესაძლებელია გადიოდეს, მესამე პირთა კერძო საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული წყალსადენ-კანალიზაციის მიწისქვეშა ქსელები, რომელთა შესახებ კომპანია ინფორმაციას არ ფლობს.

გამწმენდი სამუშაოების დაწყების წინ კომუნიკაციების დაზიანების თავიდან აცილების მიზნით გთხოვთ დაუკავშირდით კომპანიის წარმომადგენელს:

1. წყალსადენის სისტემების ექსპლუატაციის სამსახურის უფროსი ინჟინერი - გურამ სადუნაშვილი საკ. ტელ.595 08 81 18.

მამუკა კიკალიშვილი
დირექტორი ოპერაციების მართვის დარგში

შემს. მ. ლოლაძე